ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ბ-12/150701049-16

"01." 04. 2015 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება: – №1601495 18.11.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში (საკ.კოდი №01.72.14.012.746) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-2" ფასადზე ±0.00 ნიშნულზე შემცირებულია ვიტრაჟის სიგანე. +3.25 ნიშნულზე მოაჯირები არ არის მოწყობილი, ხოლო „2-2" ღერძთან მოწყობილია მოაჯირის დგარები აივნის ფილის ბოლომდე. გასქელებულია სახურავის შუბლი. + 7.62 ნიშნულზე „1-1" ღერძზე მეტალოკრამიტი ცდება სახურავის შუბლს.

„ა-გ" ფასადზე „ა-ა" ღერძთან არ არის მოწყობილი წყალშემკრები მილი.

„2-1" ფასადზე შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. პარაპეტი შევსებულია ბეტონპანელით, რომელიც შესალესი და შესაღებია. „2-1" ფასადზე დამატებით მოწყობილია ხვრელი.

„გ-ა" ფასადზე პარაპეტთან დარღვეულია ფასადის სიბრტყე. პარაპეტი შევსებულია ბეტონპანელით. შესალესი და შესაღებია.

+3.25 ნიშნულზე ღიობის ძირები არ არის შევსებული. ღობე არ არის მოწყობილი სრულად. ტერიტორია არ არის კეთილმოწყობილი.

ფასადებზე არ არის დემონტირებული ხარაჩოები.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს. „გეოკომპლექსი GEOcomplex" ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში (საკ. კოდი №01.72.14.012.746) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/150701049-16 11.03.2015წ. განცხადება.

უფროსის პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი მ. ჯაფელი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA010135026073916

№16/96814

15 / აპრილი / 2016 წ.

გიორგი რევაზიშვილი
01017039437
ჭიაურელის ქ. N14, მე-2 სად. ბ50

ბატონო გიორგი,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #96128/12 წერილის პასუხად 01.04.2015წ. #ბ-12/150701049-16 ბრძანებაში მითითებულ დარღვევებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ დარღვევების ნაწილი გამოსწორდა, კერძოდ: „1-2" ფასადზე +3.25 ნიშნულზე მოეწყო მოაჯირები. „ა-გ" ფასადზე „ა-ა" ღერძთან მოეწყო წყალშემკრები მილი. „2-1" ფასადზე და „გ-ა" ფასადის მხარეს შეილესა და შეიღება პარაპეტი. +3.25 ნიშნულზე შეივსო ღიობის ძირები. ღობე მოეწყო სრულად. ფასადებზე დემონტირებულია ხარაჩოები. მოსაწყობია ტერიტორიის მცირე ნაწილი. ამასთან, „2-1" ფასადზე დამატებით მოეწყო გათბობის ქვაბი.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე